სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080148037967516

 # 2977

21 / ოქტომბერი /
2016 წ.

ქ ა ლ ა ქ ზ უ გ დ ი დ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს თ ვ ი ს სა ხ ე ლ მ წ ი ფ ო შ ე ს ყ ი დ ვ ი ს გ ა მ ა რ ტ ი ვ ე ბ უ ლ ი შ ე ს ყ ი დ ვ ი თ გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ თ ა ნ ხ მ ო ბ ი ს გ ა ც ე მ ი ს თ ა ო ბ ა ზ ე

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 18 ოქტომბერს (18:31 საათზე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის SMP160002723 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ინტელექტუალური მედიაპროექტ „ეტალონის“ მომსახურების (CPV- 79900000 - სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) შესყიდვას.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, საქპატენტის მიერ გაცემული № 1197 სერთიფიკატის მიხედვით, მედიაპროექტ „ეტალონის“ სცენარზე საავტორო უფლება გააჩნია გოჩა ტყეშელაშვილს, რომელმაც ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებაზე ექსკლუზიური უფლებამოსილება, 2009 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ათი წლის ვადით, გადასცა შპს „ეტალონი-მედიას“. შესაბამისად, მის გარდა არ არსებობს სხვა პირი, რომელიც შეძლებს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტს გაუწიოს მომართვაში აღნიშნული მომსახურება.

სა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, საქპატენტის მიერ გაცემული № 1197 სერთიფიკატის მიხედვით, მედიაპროექტ „ეტალონის“ სცენარზე საავტორო უფლება გააჩნია გოჩა ტყეშელაშვილს, რომელმაც ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებაზე ექსკლუზიური უფლებამოსილება, 2009 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმების

საფუძველზე, ათი წლის ვადით, გადასცა შპს „ეტალონი-მედიას“. შესაბამისად, მის გარდა არ არსებობს სხვა პირი, რომელიც შეძლებს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტს გაუწიოს მომართვაში აღნიშნული მომსახურება.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის SMP160002723 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.



თავმჯდომარე ლევან რაზმაძე